# კავშირი აღზრდის შესახებ შეხედულებებსა და სოციალიზაციის მიზნებთან დაკავშირებულ შეხედულებებს შორის

**ანა რობაქიძე**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადამიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ხელმძღვანელი: ნინო სხირტლაძე

ფსიქოლოგიის დოქტორი ასისტენტ-პროფესორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2021**

# განაცხადი

წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

ანა რობაქიძე

18 ივნისი 2021 წელი

# აბსტრაქტი

ბავშვის აღზრდის სტილებისადმი ინტერესი ყველა დროსა და კულტურაში აქტუალურია. საზოგადოება ყოველთვის განიხილავს აღზრდის  სხვადასხვა მახასიათებლის  დადებით და უარყოფით ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ბავშვის განვითარების პროცესზე. მრავალი ფსიქოლოგიური კვლევა ადასტურებს, რომ აღზრდის შესახებ არსებული შეხედულებები კავშირშია სოციალიზაციის მიზნებთან დაკავშირებულ შეხედულებებთან. წინამდებარე კვლევის მიზანი იყო შეესწავლა კავშირი დირექტიული კონტროლის შესახებ არსებულ შეხედულებებსა და სოციალიზაციის სამ მიზანთან დაკავშირებულ შეხედულებებს შორის (ურთიერთდამოკიდებულება, მიღწევა, თვითგანვითარება). შედეგებით დასტურდება, რომ აღზრდის შესახებ არსებული შეხედულებები, კერძოდ, დირექტიული კონტროლის შესახებ შეხედულებები განსხვავებულად დაუკავშირდა სოციალიზაციის მიზნებთან დაკავშირებულ შეხედულებებს. კვლევაში განხილულია სოციალიზაციის მიზნებთან დაკავშირებული შეხედულებები, რომლებიც ეხება ურთიერთდამოკიდებულებაზე ორიენტირებულ მიზნებს, მიღწევაზე ორიენტირებულ მიზნებსა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულ მიზნებს. კონკრეტულად, მიღებული შედეგებით დადასტურდა, რომ აღზრდის პროცესში მკაცრი წესების გამოყენება უარყოფითად უკავშირდება ურთიერთდამოკიდებულებასთან დაკავშირებული მიზნების შესახებ შეხედულებებს, ხოლო თვითგანვითარებასა და მიღწევაზე ორიენტირებული მიზნების შესახებ შეხედულებები დადებითად უკავშირდება დირექტიული კონტროლის შესახებ არსებულ შეხედულებებს.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** აღზრდის შესახებ არსებული შეხედულებები, დირექტიული კონტროლი, სოციალიზაციის მიზნები.

# Abstract

Interest in child-rearing styles is relevant at all times and in all cultures. Society always considers the positive and negative factors of various characteristics of upbringing that affect the developmental process of the child. Numerous psychological studies confirm that the existing views on upbringing are related to the views on the goals of socialization. The aim of the current study was to investigate the relationship between existing views on directive control and views on the three goals of socialization (interdependence, achievement, self-development). The results confirm that the existing views on upbringing, in particular the views on directive control, were differently related to the views on the goals of socialization. The study discusses the views on socialization goals related to interdependence-oriented goals, achievement-oriented goals, and self-development-oriented goals. Specifically, the results obtained confirmed that the use of strict rules in the upbringing process is negatively related to the attitudes towards the goals related to interdependence, while the views on the goals focused on self-development and achievement are positively related to the views on directive control.



**Keywords:** existing views on upbringing, directive control, goals of socialization.